GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

GIPA
In hoc signo vinces

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ეკონომიკის ბაკალავრი/BA of Economics

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

პროგრამის მიზანი:

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

1. ფართო თეორიული ცოდნა ეკონომიკაში, რომელიც მოიცავს ეკონომიკის მიკრო, მაკრო, საერთაშორისო და რეგიონულ დონეებს;
2. სახელმწიფო ინსტიტუტების, საწარმოთა და შინამეურნეობების მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკული ასპექტების ცოდნა;
3. ეკონომიკური ანალიზის სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების ცოდნა.

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

4. ეკონომიკური პრობლემების ანალიზის და გადაწყვეტის გზების ძიების უნარი;
5. პროფესიული პასუხისმგებლობის, გუნდური მუშაობის და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებულმა პირმა, ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში უნდა ჩააბაროს: ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა; უცხო ენა - ინგლისური ენა.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:
ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში;
გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად.

სწავლის შედეგები:

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, პროგრამა ისახავს ქვემოთ ჩამოთვლილ შედეგობრივ მაჩვენებლებზე გასვლას:

ცოდნა და გაცნობიერება

სწავლის შედეგი 1: ბაკალავრი აღწერს ეკონომიკური თეორიის, ძირითადი ეკონომიკური დოქტრინებისა და გამოყენებითი ეკონომიკური დისციპლინების პრინციპებსა და დებულებებს; განიხილავს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მოდელების სპეციფიკას და მათი გამოყენების შედეგებს;

სწავლის შედეგი 2: ბაკალავრი განსაზღვრავს ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებებს მიკრო, მაკრო, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, ასევე, ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს და შესაძლებლობებს;

სწავლის შედეგი 3: ბაკალავრი მსჯელობს ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუციურ მოწყობაზე, ძირითადი ეკონომიკური ინსტიტუტების კომპეტენციებსა და ეკონომიკურ პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკულ ასპექტებზე;

<u>უნარი</u>

სწავლის შედეგი 4: ბაკალავრი იყენებს ეკონომიკური ანალიზის სტატისტიკურ და ეკონომეტრიკულ ინსტრუმენტებს;

სწავლის შედეგი 5: ბაკალავრი კრიტიკულად აანალიზებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს, ხელმძღვანელობის ქვეშ ამზადებს მცირე ფორმატის ეკონომიკურ კვლევას და წარადგენს მას წერილობითი და ზეპირი ფორმით, თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</u>

სწავლის შედეგი 6: ეკონომიკური შინაარსის გადაწყვეტილების მიღებისას ბაკალავრი აზროვნებს დამოუკიდებლად, აცნობიერებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ პასუხისმგებლობას, ფლობს გუნდური მუშაობის უნარს, კორექტულად გამოთქვამს და იღებს კრიტიკას;

სწავლის შედეგი 7: ბაკალავრი იზიარებს საბაზრო ეკონომიკის ღირებულებებს, სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში ირჩევს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ამკვიდრებს ეკონომისტის პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

აღნიშნული სწავლის შედეგებისა და მიზნების რუკა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

მიზნები					
სწავლის შედეგები	ფართო თეორიული ცოდნა ეკონომიკაში, რომელიც მოიცავს ეკონომიკის მიკრო, მაკრო, საერთაშორისო და რეგიონულ დონეებს	სახელმწიფო ინსტიტუტების, საწარმოთა და მინამეურნეობების მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკული ცოდნა	ეკონომიკური ანალიზის სტატისტიკური და ეკონომეტრიკული მეთოდების ცოდნა	ეკონომიკური პრობლემების ანალიზის და გადაწყვეტის გზების ძიების უნარი	პროფესიული პასუხისმგებლობის, გუნდური მუშაობის და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვის უნარი
სწავლის შედეგი 1	√	√			
სწავლის შედეგი 2		√	√	√	
სწავლის შედეგი 3		√	√	√	
სწავლის შედეგი 4			√	√	
სწავლის შედეგი 5			√	√	√
სწავლის შედეგი 6			√	√	√
სწავლის შედეგი 7	√			√	√

<u>სწავლება-სწავლის მეთოდები:</u>

☒ ლექცია;
☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა;
☒ პრაქტიკული მუშაობა;
☒ სემინარი;
☒ Case study;
☒ ელექტრონული რესურსით სწავლება;
☐ ელექტრონული სწავლება;
☒ სხვა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება ითვალისწინებს სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას და ეფუძნება შემენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს.

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და სხვა). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემის შემადგენელი ნაწილია საშუალო მაჩვენებლის (GPA) გამოანგარიშება. სტუდენტთა შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA) გამოიანგარიშება სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ საგანში მიღებული შეფასების ნამრავლით ამავე საგნის კრედიტზე. საგნებისა და კრედიტების ნამრავლი ჯამდება და იყოფა გავლილი საგნების კრედიტების ჯამურ რაოდენობაზე. საშუალო მაჩვენებლის დაანგარიშებისათვის ნიშნის ხვედრითი წილია:

A = 4
B = 3, 2
C = 2, 4
D = 1, 6
E = 0, 8

დასაქმების სფერო:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სახელმწიფო დაწესებულებებში, სამრეწველო და სხვა პროფილის კერძო კომპანიებში, ბანკებსა და სხვა ფინანსურ სტრუქტურებში, კვლევით ცენტრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების წარმომადგენლობებში, სადაც მოთხოვნილია ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

<u>პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:</u>

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით. უნივერსიტეტის საკუთრებასა და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი: საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ და იჯარით აღებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Openedition Journlas; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე: აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები: ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა - lmb.gipa.ge. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც

განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის ხელმძღვანელი:
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მერაბ კაკულია
გორგასლის #101, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 2 49 75 45; მობ: (995) 599 11 10 05
e-Mail: merab.kakulia@gipa.ge

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა															
№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი \ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო სათები	დამოუკიდებელი სათები[3]
			სავალდებულო ზოგადი საგნები	25	28								
	SSakw 103	არ გააჩნია	აკადემიური წერა	5/125								32	93
	SSfils 113	არ გააჩნია	ფილოსოფიის შესავალი	6/150								42	108
	SSinfm 106	არ გააჩნია	ინფორმატიკა	5/125								32	93
	SSlog 109	არ გააჩნია	ლოგიკური უნარ-ჩვევები	5/125								32	93
	SSkalk 107	არ გააჩნია	კალკულუსი 1	4/100								32	68
	SSsam 104	არ გააჩნია	სამართლის საფუძვლები		6/150							32	118
	SSekos 112	SSkalk 107	ეკონომიკის შესავალი		6/150							42	108
	SSfsik 111	არ გააჩნია	ფსიქოლოგიის საფუძვლები		6/150							32	118
	SSsocs 114	არ გააჩნია	სოციოლოგიის საფუძვლები		6/150							32	118
.	SSkalk 402	SSkalk 107	კალკულუსი 2		4/100							32	68
			ინგლისური ენის საგნები	5	5	5	5						
.	SS eng 100	არ გააჩნია	ინგლისური ენა 1	5/125								48	77
.	SSeng 101	SS eng 100	ინგლისური ენა 2		5/125							48	77
.	SSeng 102	SSeng 101	ინგლისური ენა 3			5/125						48	77
	SSeng 115	SSeng 102	ინგლისური ენა 4				5/125					48	77
			სპეციალობის სავალდებულო საგნები			19	24	25	28	21	20		

[1] კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

[2] სტუდენტის სასწავლო დატვირთვა - დრო, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ეფუძნება დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს.

[3] დამოუკიდებელი საათები - საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო (საშინაო დავალებისა და გამოცდების მომზადება და ა.შ.).

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი \ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი			
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები[3]
15.	SSmicr 400	SSekos 112 SSkalk 402	მიკროეკონომიკა 1			4/100						32	68
16.	SSbugal 401	SSkalk 402	ბუღალტრული აღრიცხვა			5/125						32	93
17.	SSalbat 424	SSkalk 402	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა			5/125						32	93
18.	SSekist 403	SSekos 112	ეკონომიკური ისტორია			5/125						32	93
19.	SSmicr 404	SSmicr 400	მიკროეკონომიკა 2				4/100					32	68
20.	SSbizn 405	არ გააჩნია	ბიზნესის საფუძვლები				6/150					32	118
21.	SSmacr 406	SSkalk 402 SSekos 112	მაკროეკონომიკა 1				4/100					32	68
22.	SSekdok 417	SSekos 112	ეკონომიკური დოქტრინები				5/125					32	93
23.	SSshrek 407	SSkalk 402	შრომის ეკონომიკა				5/125					32	93
24.	SSmacr 409	SSkalk 402 SSmacr 406	მაკროეკონომიკა 2					4/100				32	68
25.	SSsajec 411	SSmacr 406 SSmicr 404	საჯარო სექტორის ეკონომიკა					6/150				32	118
26.	SSsvach 412	SSekos 112 SSekist 403	საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები 1					5/125				32	93
27.	SSpuli408	SSkalk402 SSmacr 406 SSekos 112	ფული და საბანკო საქმე					5/125				32	93

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი \ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები[3]
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
28.	SSekst 423	SSkalk 402 SSmicr 400 SSmacr 406	ეკონომიკური სტატისტიკა					5/125				32	93
29.	SSekmet 414	SSkalk 402 SSekos 112 SSekst 423	ეკონომეტრიკა						6/150			32	118
30.	SSsvach 415	SSsvach 412	საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები 2						5/125			32	93
31.	SSregpol 416	SSekos 112	რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა						6/150			32	118
32.	SSfin 413	SSkalk 402	ფინანსების მართვა						6/150			32	118
33.	SSqcevek 410	SSekos 112 SSkalk 402 SSalbat 424	ქცევითი ეკონომიკა						5/125			32	93
34.	SSopkv 420	SSkalk 402	ოპერაციათა კვლევა							6/150		32	118
35.	SSganvek 421	SSekos 112 SSmicr 404 SSmacr409	განვითარების ეკონომიკა							6/150		32	118
36.	SSseko 422	SSmicr 404 SSmacr 409	საქართველოს ეკონომიკა							5/125		32	93
37.	SSekshef 425	SSekst 423 SSalbat 424	ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდები							4/100		32	68
38.	SSspol 307	SSsocs 114	სოციალური პოლიტიკა								5/125	32	93
39.	SSeksem 419	SSmicr 404 SSmacr 409	ეკონომიკური სემინარი								5/125	32	93

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი \ მოდული	ECTS კრედიტი/საათი[1]								სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2]	
				I წელი		II წელი		III წელი		IV წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები[3]
				სემესტრი									
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII		
40.	SSprojek 426	ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი (გარდა SSeksem 419)	დასკვნითი სასწავლო პროექტი								10/250	64	186
			ზოგადი არჩევითი საგნები				6	6	6	6	6		
41.	SSglobal 715	არ გააჩნია	გლობალიზაცია				6/150	6/150		6/150		32	118
42.	SSkultsoc 716	არ გააჩნია	კულტურის სოციოლოგია				6/150	6/150		6/150		32	118
43.	SSrito 701	არ გააჩნია	რიტორიკა და კამათის ხელოვნება				6/150	6/150		6/150		32	118
44.	SSpolart 216	არ გააჩნია	პოლიტიკა და ხელოვნება				6/150	6/150		6/150		32	118
45.	SSforumt 115	არ გააჩნია	პრობლემების გადაწყვეტა: ფორუმ-თეატრი				6/150	6/150		6/150		32	118
46.	SSkomrekl 718	არ გააჩნია	სტრატეგიული კომუნიკაცია და სარეკლამო ტექნოლოგია				6/150		6/150		6/150	32	118
47.	Ssadamupl 018	SSsam 009	ადამიანის უფლებები თეორიასა და პრაქტიკაში				6/150		6/150		6/150	32	118
48.	SSqgegma 717	არ გააჩნია	ქალაქგეგმარების სოციალური ასპექტი				6/150		6/150		6/150	32	118
49.	SSpolmit 714	არ გააჩნია	პოლიტიკა და მითოლოგია				6/150		6/150		6/150	32	118
50.	SSaciv 704	არ გააჩნია	აღმოსავლური ცივილიზაციების ისტორია				6/150		6/150		6/150	32	118
სემესტრში				30	33	30	29	31	34	27	26		
წელიწადში				63		59		65		53			

სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები:

პროგრამის თითოეული შედეგისთვის განისაზღვრა სამდონიანი ცოდნის იერარქია: I, D, M და პრაქტიკული კომპონენტი P, საიდანაც I აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ სწავლის შედეგზე გასვლას შესავლის ანუ გაცნობით დონეზე (Introduction), D აღნიშნავს გაღრმავებას (Developement), ხოლო M აღნიშნავს განმტკიცებას (Master), ხოლო P აღნიშნავს მოცემული საგნის მოცემულ შედეგს პრაქტიკაში (Practice). შესაძლებელია, რომ საგანი გადიოდეს შესავლის და პრაქტიკის (IP), პრაქტიკისა და გაღრმავების (DP) ან პრაქტიკისა და განმტკიცების (PM) დონეზე. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში, თითოეული შედეგის გასწვრივ მოცემულია ნიშნულების სვეტი. შესაბამისი ნიშნულისა და საგნის თანაკვეთის უჯრაში, მაშინ როდესაც საგნის გავლა იწვევს შედეგის რომელიმე დონეზე გასვლას, მითითებული პროცენტული მაჩვენებელი (დადებითი შეფასების ნიშნული) ასახავს საგანში დადებითი ნიშნის მიღების მიზნობრივ ნიშნულს. დაშვებული გადახრა თითოეული დადებითი ნიშნულისთვის 15%-ს შეადგენს. ასევე, ფასდება შერჩეულ დისციპლინებში სტუდენტების პროცენტული რაოდენობა (სამიზნე ნიშნული (სტუდენტები)), რომლებმაც კონკრეტული საგნის სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, მაქსიმალური შეფასების მითითებული ნიშნული გადალახეს (სამიზნე ნიშნული (ქულები)). დასაშვები გადახრა თითოეულ სამიზნე ნიშნულთან მიმართებაში წარმოადგენს 10%-ს.

სწავლების შედეგები							
საგანი/ მოდული	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7
აკადემიური წერა					IP		
სამართლის საფუძვლები			I		IP	IP	
ინფორმატიკა				IP	IP		
ფსიქოლოგიის საფუძვლები			I		I	I	
ლოგიკური უნარ-ჩვევები			I		I		
კალკულუსი 1	IP						
ეკონომიკის შესავალი	I			I		I	I
ფილოსოფიის შესავალი	I				I	I	I
სოციოლოგიის საფუძვლები	I				I	I	I
კალკულუსი 2	IP	IP		IP			
ინგლისური ენა 1	I				IP		
ინგლისური ენა 2	I				IP		

ინგლისური ენა 3	I				IP		
ინგლისური ენა 4	I				IP		
მიკროეკონომიკა 1		DP	DP	DP	DP		
ბუღალტრული აღრიცხვა	D	IP			IP		
ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა				DP	D		
ეკონომიკური ისტორია	IP		IP		IP	DP	DP
მიკროეკონომიკა 2		PM	PM	PM	PM	PM	PM
ბიზნესის საფუძვლები	IP	IP			IP		
მაკროეკონომიკა 1		DP	DP	DP	DP		
ეკონომიკური დოქტრინები	D	DP	DP		DP	DP	DP
შრომის ეკონომიკა	D		DP		DP		
მაკროეკონომიკა 2		PM	PM	PM	PM	PM	PM
საჯარო სექტორის ეკონომიკა		PM	PM	PM			
საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები 1		PM	PM	PM		PM	
ფული და საბანკო საქმე	D		DP		DP	PM	
ეკონომიკური სტატისტიკა		PM		PM	PM		
ეკონომეტრიკა		PM	PM	PM	PM		
საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები 2		PM	PM	PM			
რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა		PM	PM		PM		
ქცევითი ეკონომიკა	M	DP	D	PM		DP	DP
ფინანსების მართვა	PM	PM			PM	PM	
სოციალური პოლიტიკა			DP		DP		
ოპერაციათა კვლევა		D		DP	DP		
განვითარების ეკონომიკა	M	PM	PM		PM	PM	PM

საქართველოს ეკონომიკა		PM	PM		PM		
ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდები		PM		PM	PM	PM	PM
ეკონომიკური სემინარი	PM	PM	PM		PM	PM	PM
დასკვნითი სასწავლო პროექტი	M	PM	PM	PM	PM	PM	PM

დანართი №1

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე (CURRICULUM VITAE)				
სახელი, გვარი	მერაბ კაკულია			
თანამდებობა	1. უფროსი, რისკების მართვის და ანალიტიკური სამსახური 2. წამყვანი მკვლევარი, ფინანსური სტაბილურობისა და კონკურენტუნარიანობის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი 3. პროფესორი			
სამუშაო ადგილი	1. სააქციო საზოგადოება საპარტნიორო ფონდის დარგობრივი და რეგიონული განვითარების კომპანია 2. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი (GFSIS) 3. ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)			
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი:	599 11 10 05	ელ-ფოსტა:	m.kakulia@gipa.ge merab.kakulia@gmail.com
დაცული დისერტაცია და სამეცნიერო კვლევის სფეროები	"სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში" ვ. მელქაძის სახელობის ეკონომიკის სამეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტი; თბილისი, საქართველო კვლევის სფეროები: მაკროეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები, მონეტარული ეკონომიკა, განვითარების ეკონომიკა, მონეტარული, გაცვლითი კურსის და ვაჭრობის პოლიტიკა			
პუბლიკაციები	• ანტიპანდემიური შეზღუდვების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე: ხილული და უხილავი დანაკარგი, თანაავტორი, ეკონომიკა და ბიზნესი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, 2021, N2. • კორონომიკური კრიზისის გაკვეთილები საქართველოსთვის., ეკონომიკა და ბიზნესი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, 2020, N2. • ანტიპანდემიური შეზღუდვებისა და მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებების გავლენა დასაქმებაზე, შემოსავლებსა და სიღარიბის დონეზე საქართველოში., 61 გვ., თანაავტორი, რონდელის ფონდი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი 2020. https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2901.pdf • საშუალო კლასი საქართველოში: რაოდენობრივი შეფასება, დინამიკა, პროფილი. ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა., 85 გვ., თანაავტორი, რონდელის ფონდი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი 2018, https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2674.pdf			

	• ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში. ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა., 61 გვ., თანაავტორი, რონდელის ფონდი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი 2017, https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2509.pdf • Chronic Poverty and Income Inequality in Georgia. Economic-Statistical Research. Coauthor, Rondeli Foundation and Friedrich Ebert Stiftung, Tbilisi, 2017., https://www.gfsis.org/files/library/pdf/English-2509.pdf • უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში, 62 გვ., თანაავტორი, რონდელის ფონდი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი, თბილისი 2016, http://gfsis.org/files/library/pdf/2456.pdf • Structure of Unemployment and Structural Unemployment in Georgia, 62 p., Coauthor, Rondeli Foundation and Friedrich Ebert Stiftung, Tbilisi, 2016. http://gfsis.org/files/library/pdf/2456.pdf • Georgia's Experience On Developing Trade And Trade Policy Measures With the European Union, in Developing trade and trade policy relations with the European Union, 215 p., Institute of World Economics Centre for Economic and Regional Studies, Hungarian Academy of Sciences, Budapest, 2014. • On the Political Economy of Economic Slowdown in Georgia, Georgian Foundation for Strategic and International Studies (GFSIS), Opinion Paper, N 9, 2013. http://gfsis.org/media/download/library/articles/kakulia/On_The_Political_Economy_of_Economi_c_Slowdown_In_Georgia_ENG.pdf • ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარება, წიგნში საქართველოს ეკონომიკა, გამომცემლობა „სიახლე", 307 გვ., თბილისი, 2012. • Financial Sector Assessment, Prepared for USAID/Georgia, coauthor, Tbilisi, November 23, 2011. http://georgia.usaid.gov/sites/default/files/Georgia%20Financial%20Sector%20Assessment.pdf • Implementation of European Neighborhood policy Action Plan for Georgia in Trade and some Trade Related Areas in 2010, Coauthor, Eurasia Partnership Foundation (EPF) and SIDA, Tbilisi, January, 2011. http://www.epfound.ge/files/report_enp-epf_summary_03.22.11_eng_1.pdf • Macroeconomic Paradigm of Post-War Georgia, in Georgia, 2009: Post-War Challenges & Perspectives, Independent Experts' Club, Tbilisi, 2010. http://www.fes.ge/geo/images/Fes_Files/2010-GEO/ieclub.2009%20eng.web.pdf • The Bilateral Track of the EU Eastern Partnership: Georgia's Experience, in The European Union's Eastern Partnership. Experiences, Efforts and Expectations, Edited by Tamas Szigetvari, Institute for World Economics of the Hungarian Academy of Sciences, Budapest, 2011. • Possible macroeconomic effect of the free trade between Georgia and the EU, Works, Georgian Academy of Economic Sciences, Tbilisi, 2010 (in Georgian); • Macroeconomic Context of DCFTA, in Technical Background Paper on Deep and Comprehensive Free Trade Agreement with Georgia: Analytical Papers and Training Materials, GEPLAC, August 2009. http://www.geplac.ge/newfiles/EU-Georgia%20important%20Refferences/backgroundpaperfullversion1.pdf • Implementation of the 18-month economic program in Georgia in the framework of Stand-By Arrangement of the IMF, "Open Society Georgia" Foundation (OSGF), Policy Paper Nr.18, 2009. • Mitigating Post-war Economic Threats in Georgia, Georgian Economic Trends, Quarterly Review, October 2008. • Before and after the introduction of Lari: Georgian National Currency in Retrospect, in Central Eurasia: National Currencies, Edited by Eldar M. Ismailov, CA&CC Press, Stockholm, 2008. http://www.ca-c.org/book/book-02-e.shtml • Labor Migrant's Remittances to Georgia, Volume, Structure and Socio-Economic Effects, Georgian Economic Trends, Quarterly Review, October 2007.

	• Maintenance of Macroeconomic Stability in Georgia, in European Neighborhood Policy and Georgia: Analyses of independent experts, Friedrich-Ebert-Stiftung (FES) and Open Society Georgia Foundation (OSGF), Tbilisi, 2007. • The Primary Objectives and Priorities of Monetary policy in Georgia, Coauthor, Problems of Economic Transition, Vol.48, N4/August 2005. http://mesharpe.metapress.com/app/home/contribution.asp?referrer=parent&backto=issue,4,7;journal,85,637;linkingpublicationresults,1:106047,1 • Implementing European Standards of Banking Regulation in Georgia, EU Accession - Financial Sector Opportunities and Challenges for Southeast Europe, Springer, Berlin - Heidelberg, 2005. http://rd.springer.com/chapter/10.1007/3-540-26963-0_6# • Euro in Georgian Currency Market: Does US Dollar give up its Positions? Macro and Micro Economics, N 4, 2003 (in Georgian). • Composition of the Domestic Foreign Exchange Market in Georgia, Bulletin of the Georgian Academy of Sciences, Volume 165, N 1, 2002. http://www.science.org.ge/moambe/New/pub14/165_1.htm • Concept and Indicators of Dollarization, Bulletin of the Georgian Academy of Sciences, Volume 164, N 3, 2001. http://www.science.org.ge/moambe/New/pub13/164-3.htm • Formation of the Floating Exchange Rate Regime in a Transitional Economy: Georgian Experience, Money and Credit, N 10, 2001 (in Russian). • Content and Mechanism of a Modern Currency Crisis, Society and Economy, N 5, 2001 (in Russian). • The Problems of Development of the Monetary System in Georgia, 282 p., Tbilisi, 2001 (in Georgian). • Dollarization in Georgia: Size of the Problem, Factors and the Ways of Solution, Coauthor, 118 p., Tbilisi, 2000 (in Georgian).

დანართი №2

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ			
№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
1	მერაბ კაკულია	პროფესორი	• ეკონომიკის შესავალი • ეკონომიკური ისტორია • საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები 1 • საერთაშორისო ვაჭრობა და ფინანსები 2
2	გიორგი თურქია	პროფესორი	• ბიზნესის საფუძვლები • ფინანსების მართვა
3	ივანე ცერცვაძე	პროფესორი	• ქცევითი ეკონომიკა • ეკონომიკური ანალიზისა და შეფასების მეთოდები
4	მიხეილ ნიკოლეიშვილი	პროფესორი	• ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა
5	ჯულიეტა გაგლოშვილი	პროფესორი	• ინფორმატიკა
6	ნათია ჭიღვარია	პროფესორი	• ინგლისური ენა 1
7	კონსტანტინე ერისთავი	ასოცირებული პროფესორი	• ადამიანის უფლებები თეორიასა და პრაქტიკაში
8	ნინო ტაბეშაძე	პროფესორი	• გლობალიზაცია
9	ნინო გედევანიშვილი	პროფესორი	• პოლიტიკა და ხელოვნება
10	ნათია კუტივაძე	პროფესორი	• მიკროეკონომიკა 1 • მიკროეკონომიკა 2 • საჯარო სექტორის ეკონომიკა

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ			
№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
11	რომან ხარბედია	ასოცირებული პროფესორი	• რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა • ეკონომიკური სემინარი
12	ნანა ადეიშვილი	მოწვეული ლექტორი	• შრომის ეკონომიკა
13	ნინო ხელაია	ასისტენტ-პროფესორი	• სოციალური პოლიტიკა
14	ანა ჩუთლაშვილი	ასისტენტი	• ფსიქოლოგიის საფუძვლები
15	ცოტნე ჭანტურია	ასოცირებული პროფესორი	• ფილოსოფიის შესავალი
16	ნინო ჩარექიშვილი	პროფესორი	• აღმოსავლური ცივილიზაციების ისტორია
17	თამარ ჩარკვიანი	ასოცირებული პროფესორი	• კულტურის სოციოლოგია
18	ვახტანგ ლომჯარია	ასისტენტი	• ეკონომიკის შესავალი (სემინარი)
19	ზაქარია თავზერიძე	ასისტენტი	• სოციოლოგიის საფუძვლები (სემინარი)
20	ია ერაძე	ასოცირებული პროფესორი	• მაკროეკონომიკა 1 • მაკროეკონომიკა 2 • ფული და საბანკო საქმე
21	იოსებ მამუკელაშვილი	მოწვეული ლექტორი	• ბუღალტრული აღრიცხვა
22	გიორგი მიხელიძე	მოწვეული ლექტორი	• ეკონომეტრიკა • ეკონომიკური სტატისტიკა
23	მედეა ღვაბერიძე	ასისტენტ პროფესორი	• საქართველოს ეკონომიკა

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ			
№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
24	მიხეილ თოქმაზიშვილი	მოწვეული ლექტორი	• განვითარების ეკონომიკა
25	დალი სეხნიაშვილი	მოწვეული ლექტორი	• ეკონომიკური დოქტრინები
26	ფრიდონ დვალიშვილი	მოწვეული ლექტორი	• კალკულუსი 1 • კალკულუსი 2 • ოპერაციათა კვლევა
27	თინათინ ქავთარაძე	მოწვეული ლექტორი	• აკადემიური წერა
28	ლევან კოკაია	მოწვეული ლექტორი	• სამართლის საფუძვლები
29	მაია ჭიაურელი	მოწვეული ლექტორი	• ლოგიკური უნარ-ჩვევები
30	ჯეფრი მორსკი	მოწვეული ლექტორი	• ინგლისური ენა 3 • ინგლისური ენა 4
31	ნელი დავითაია	მოწვეული ლექტორი	• ინგლისური ენა 2 • ინგლისური ენა 3
32	თამარ ცხვიტავა	ასოცირებული პროფესორი	• ინგლისური ენა 1 • ინგლისური ენა 2
33	ლევან ბერძენიშვილი	მოწვეული ლექტორი	• რიტორიკა და კამათის ხელოვნება
34	მარინა კვიცარიძე	მოწვეული ლექტორი	• პრობლემების გადაწყვეტა - ფორუმ თეატრი
38	ირინა ჭელიძე	მოწვეული ლექტორი	• სტრატეგიული კომუნიკაცია და სარეკლამო ტექნოლოგია

ინფორმაცია ადამიანური რესურსების შესახებ			
№	სახელი და გვარი	სტატუსი	სასწავლო კურსი
36	ზურაბ ბაქრაძე	მოწვეული ლექტორი	• ქალაქგეგმარების სოციალური ასპექტი
37	დავით ზურაბიშვილი	მოწვეული ლექტორი	• პოლიტიკა და მითოლოგია
38			• ეკონომეტრიკა